პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/049/2015

სს „სილქნეტის“ შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **25/05/2015**

აღწერილობითი ნაწილი

ბ.ჩ-მ 2015 წლის თებერვალში მომართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და მოითხოვა სს „სილქნეტის“ (შემდგომში - „კომპანია“) მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, კერძოდ სს „სილქნეტის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს (შემდგომში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო) საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების განხორციელების დროს სასამართლოს განჩინების გარეშე მიეწოდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2014 წლის სექტემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს გამომძიებელმა წერილით მიმართა სს „სილქნეტს“ IP მისამართის დადგენისა და მფლობელის სრული დემოგრაფიული მონაცემების მიწოდების თხოვნით.

განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს 2014 წლის სექტემბრის მიმართვის წერილის ასლი, ასევე სს „სილქნეტის“ 2014 წლის სექტემბრის საპასუხო წერილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს 2014 წლის სექტემბრის მიმართვის წერილში აღნიშნულია, რომ სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე კი სს „სილქნეტისაგან“

მოთხოვნილია ინფორმაცია, ჩართულია თუ არა აღნიშნული კომპანიის ქსელში ცალკეული IP მისამართები (IP01, IP02; IP03; IP04), დადებითი პასუხის შემთხვევაში - მფლობელთა სრული დემოგრაფიული მონაცემები და ის მისამართი, სადაც ფიქსირდება IP.

სს „სილქნეტის“ 2014 წლის საპასუხო წერილით მთავარ სამმართველოს მიეწოდა სამ IP მისამართზე (IP01, IP02; IP03) რეგისტრირებულ აბონენტთა (კ.მ, დ.ჯ, ბ.კ) იურიდიული და ფაქტიური მისამართი, მათ შორის ორი აბონენტის (კ.მ, ბ.კ) პირადი ნომერი.

საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით კი 2015 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდში, ინსპექტორის ბრძანებების შესაბამისად განხორციელდა სს „სილქნეტის“ შემოწმება, რაც მოიცავდა მონაცემთა დამუშვების კანონიერების (მათ შორის, მესამე პირებისათვის გადაცემის კანონიერების) შემოწმებას.

შემოწმების ფარგლებში, სს „სილქნეტის“ წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული ინფორმაციის გაცემის ფაქტი და განმარტა, რომ კომპანიაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს განჩინების გარეშე, მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს მიმართვის საფუძველზე, გაიცემა კომპანიის მფლობელობაში არსებული ინფორმაცია. ამას გარდა, კომპანია გეგმავს, შეცვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა და შემდგომში მსგავსი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს განჩინების ან სხვა შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის საფუძველზე გასცეს.

სს „სილქნეტის“ მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში 2015 წლის აპრილის თვეში წარმოდგენილი იქნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ გამომძიებელი თავად წყვეტს, ფარული საგამოძიებო მოქმედება მოსამართლის განჩინებით ჩატარდეს თუ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, განჩინების გარეშე. ამდენად, სს „სილქნეტი“, როგორც ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დასაქმებული სუბიექტი, ორივე შემთხვევაში ვალდებულია, გადასცეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელ ორგანოს კანონით გათვალისწინებული მონაცემები, ხოლო რამდენად კანონიერად იქნა მოთხოვნილი ინფორმაცია, ეს გამომძიებლის პრეროგატივაა.

შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ სს „სილქნეტს“ არ მოუხდენია ბ.ჩ-ს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოსათვის, თუმცა მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ზემოთმითითებულ პირთა პერსონალური მონაცემების გაცემას.

კომპანიის შემოწმების ფარგლებში, ინფორმაციის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლის დასადგენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოსა და ქ. ბათუმის რაიონულ პროკურატურას ეთხოვათ პოზიციის წარმოდგენა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს 2015 წლის აპრილის წერილში აღნიშნულია, რომ პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის

გაფორმებულ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არსებობს მომხმარებლის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. როდესაც სს „სილქნეტის“ მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს 2014 წლის სექტემბრის მიმართვის წერილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა დემოგრაფიული მონაცემები, ივარაუდებოდა, რომ აღნიშნული მონაცემები დამუშავდა მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

მონაცემთა სუბიექტის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მიმწოდებელი კომპანიების წინაშე გამოხატული თანხმობის საკითხის შესაწავლად, აპარატის მიერ სს „სილქნეტისგან“ გამოთხოვილი იქნა იმ აბონენტებთან არსებული ხელშეკრულებები, რომელთა შესახებაც გაიცა ინფორმაცია. კერძოდ, სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2010 წლიდან დღემდე მოქმედი სტანდარტული ხელშეკრულება - „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი წესები და პირობები“. აღნიშნული პირობების 7.1.7 პუნქტის თანახმად, აბონენტის პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას კომპანიის მიერ რეკლამის მისაწოდებლად და/ან სხვა კანონიერი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აბონენტი წინასწარ წერილობით განუცხადებს უარს კომპანიას. ამას გარდა, პირობების 12.2.2 პუნქტის თანახმად, აბონენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის ვალდებულება არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომლის გამჟღავნებაც მხარეთა მიერ მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად.

რაც შეეხება ქ. ბათუმის რაიონული პროკურატურის მოსაზრებას, მის 2015 წლის მაისის წერილში აღნიშნულია, რომ ინფორმაციის გამოთხოვა დანაშაულის გამოძიების მიზანს ემსახურებოდა, გამომძიებელი კი ინფორმაციის გამოთხოვისას მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველ ნაწილის საფუძველზე. ამავე კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მოსამართლის ნებართვით, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც კომუნიკაციის ერთი მხარე თანახმაა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, საგამოძიებო მოქმედება ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე, შესაბამისად, ასეთ დროს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებაც არ საჭიროებს სასამართლოს მხრიდან კონტროლს, კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვიდან გამომდინარე.

შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ განმცხადებლის მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, სს „სილქნეტის“ მიერ არ მომხდარა ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის გადაცემის შესახებ ინსპექტორისათვის ინფორმაციის წარმოდგენა.

სამოტივაციო ნაწილი

შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსპექტორმა იმსჯელა სს „სილქნეტის“ მიერ მონაცემთა გაცემის კანონიერებისა და მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ დამუშავება გათვალისწინებულია კანონით.

დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, გამოთხოვის) წესი განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ამავე კოდექსის მე-16 თავი განსაზღვრავს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესს. კოდექსის 136-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან, განსხვავდება ინტერნეტტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:

ა) გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

ბ) მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ანგარიშისა და გადასახადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

გ) დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

დასახელებულ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველომ მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას მიუთითა, რომ ინფორმაციის მოთხოვნა ემსახურებოდა დანაშაულის გამოძიების ინტერესებს. ამდენად, IP მისამართზე რეგისტრირებული მომხმარებლის დემოგრაფიული მონაცემების მიწოდება, რაც, ამავე დროს, პერსონალური მონაცემების მიწოდებასაც გულისხმობდა, უნდა მომხდარიყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

136-ე მუხლით დადგენილი საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისათვის განსაზღვრული წესით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე, თავის მხრივ, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვრცელდება ამავე კოდექსის 143^{2}–143^{10} მუხლების დებულებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^{3}-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით, ხოლო მე-6 ნაწილის თანახმად - პროკურორის მოტივირებული დადგენილებით, მოსამართლის განჩინების გარეშე, თუ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს მათი მოპოვება.

როგორც საქმის გარემოებათა შესწავლის დროს გამოიკვეთა, კომპანიას არ შეუმოწმებია, საგამოძიებო ორგანო ინფორმაციის მოთხოვნისას მოქმედებდა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით, კერძოდ არსებობდა თუ არა ინფორმაციის გაცემისთვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი (სასამართლოს განჩინება ან, გადაუდებელი აუცილებლობისას, პროკურორის დადგენილება). კომპანიისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი - დანაშაულის გამოძიება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს ინფორმაციის გამოთხოვისას კომპანიისათვის არ წარუდგენია სასამართლოს განჩინება ან პროკურორის დადგენილება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ვერ იქნება გაზიარებული კომპანიის პოზიცია, რომ გამომძიებელია ის პირი, რომელიც თავად წყვეტს, ფარული საგამოძიებო მოქმედება მოსამართლის განჩინებით ჩატარდეს თუ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, განჩინების გარეშე, ხოლო სს „სილქნეტი“ კი, როგორც ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დასაქმებული სუბიექტი, ორივე შემთხვევაში ვალდებულია, გადასცეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელ ორგანოს კანონით გათვალისწინებული მონაცემები.

ამდენად, შემოწმების შედეგად იკვეთება, რომ სს „სილქნეტის“ მიერ დარღვეული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, როდესაც პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია (მათ შორის, ბ.ჩ-ს პერსონალური მონაცემები) გაიცა მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობის გარეშე, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

შემოწმების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ სს „სილქნეტის“ მიერ არ მომხდარა ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კერძოდ კი ელექტრონული კომუნიკაციის

მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის გადაცემის შესახებ, ინსპექტორისათვის ინფორმაციის წარმოდგენა.

ამდენად, კომპანიის მიერ დარღვეული იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-8[2] მუხლით დადგენილი ვალდებულება, რაც გულისხმობს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მიწოდებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ინსპექტორისათვის ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

ვინაიდან კომპანიის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოსათვის IP მისამართზე რეგისტრირებულ პირთა პერსონალური მონაცემების მიწოდების წესის დარღვევას ადგილი ჰქონდა 2014 წელის სექტემბერში, ინსპექტორი სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მონაცემთა დამმუშავებელს ვერ დააკისრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-4, მე-5, 27-ე, 35-ე, 39-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს სს „სილქნეტის“ შემოწმება და ეცნობოს კომპანიას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

2. დაევალოს სს „სილქნეტს“, უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ კანონიერი მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.
3. დაევალოს სს „სილქნეტს“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აცნობოს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ;
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი